# საქართველოს კანონი

## თავდაცვის დაგეგმვის შესახებ

**მუხლი 1. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის არსი**

1. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვა არის იმ ღონისძიებათა ერთობლიობა, რომლებიც ემსახურება თავდაცვის პოლიტიკის მიზნების განხორციელებას და შესაბამისი გზებისა და რესურსების განსაზღვრას.

2. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვა ხორციელდება მოკლევადიანი (2 წლამდე ვადით), საშუალოვადიანი (5 წლამდე ვადით) და გრძელვადიანი (5 წელზე მეტი ვადით) პერიოდებისათვის.

*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

**მუხლი 2. კანონის სამართლებრივი საფუძვლები**

ეს კანონი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

**მუხლი 3. (ამოღებულია)**

*საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1386 – ვებგვერდი, 09.10.2013წ.*

*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

**მუხლი 4. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვისა და კოორდინაციის ორგანიზება**

1. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვისა და კოორდინაციის პრინციპებია:

ა) კანონიერება;

ბ) ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების განუხრელი დაცვა და პატივისცემა;

გ) ერთიანი სამთავრობო მიდგომა;

დ) უწყვეტობა;

ე) გეგმურობა;

ვ) საჯაროობა და სამოქალაქო ჩართულობა.

2. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვა ხორციელდება ეროვნული დონისა და უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების მეშვეობით.

3. სახელმწიფო თავდაცვის სფეროში ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავება ხორციელდება „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

4. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალურ დოკუმენტებს ამტკიცებს შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, ხოლო სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის ორგანიზაციულ დოკუმენტებს – შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი ან მის მიერ უფლებამოსილი პირი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

5. უწყებრივ დონეზე სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის განხორციელების წესი და ვადები, აგრეთვე სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური და ორგანიზაციული დოკუმენტების სახეები და რეგულირების სფერო განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ნორმატიული აქტით ამტკიცებს შესაბამისი უწყების ხელმძღვანელი.

6. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონისა და უწყებრივი დონის დოკუმენტები ექვემდებარება განახლებას ქვეყნის თავდაცვის საჭიროებიდან გამომდინარე.

*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

*საქართველოს 2019 წლის 2 აპრილის კანონი №4406 – ვებგვერდი, 08.04.2019წ.*

**მუხლი 5. კრიზისული და საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში მოქმედებების დაგეგმვა**

კრიზისული და საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში წინასწარი მოქმედებების დაგეგმვა გულისხმობს სამხედრო მოვლენების ან ბუნებრივი (ტექნოგენური) კატასტროფების დროს ვითარების მოულოდნელ განვითარებაზე ადეკვატური მოქმედებების დაგეგმვასა და განხორციელების უნარს. კრიზისული და საგანგებო ან/და საომარი მდგომარეობის დროს და სხვა განსაკუთრებული სიტუაციების პირობებში მოქმედებების დაგეგმვის პრინციპები არ იცვლება.

**მუხლი 6. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტები**

1. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტებია:

ა) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია;

ბ) საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი;

გ) საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია.

2. საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგია:

ა) მიმოიხილავს და აფასებს თავდაცვის სფეროში არსებულ საფრთხეებსა და გამოწვევებს;

ბ) განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკის მიზნებს და საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხებს;
გ) განსაზღვრავს ეროვნულ სამხედრო მიზნებსა და ამოცანებს, მათი განხორციელების გზებს, პრინციპებსა და საშუალებებს;
დ) აფასებს ქვეყნის თავდაცვით შესაძლებლობებს, საქართველოს თავდაცვის ძალების მოთხოვნებს, ადგენს სამომავლო განვითარების ხედვას და განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის ძალების სამომავლო სტრუქტურას;
ე) განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვის ორგანიზების სტრატეგიულ მიმართულებებსა და პრინციპებს;
ვ) სახელმწიფო უწყებებს განუსაზღვრავს თავდაცვის ამოცანებს შესაბამისი სფეროების მიხედვით;
ზ) განსაზღვრავს ქვეყნის თავდაცვაში საზოგადოების ჩართულობას;
თ) ადგენს განსაზღვრული პერიოდისთვის საქართველოს თავდაცვის ძალების რესურსებით უზრუნველყოფის ჩარჩოებს.
3. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას საქართველოს მთავრობის წარდგინებით ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.
4. საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტსა და საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგიას ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.
5. საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტისა და საქართველოს ეროვნული თავდაცვის სტრატეგიის საიდუმლო ნაწილი მტკიცდება ცალკე დოკუმენტის სახით.
*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

**მუხლი 6$^{1}$. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციული დოკუმენტები**
1. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციული დოკუმენტია საქართველოს ეროვნული თავდაცვის მზადყოფნის გეგმა, რომელიც არის სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულებისათვის პასუხისმგებელი უწყებების დროში გაწერილი სამოქმედო გეგმების ერთობლიობა.
2. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციულ დოკუმენტებს ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის ორგანიზაციული დოკუმენტის საიდუმლო ნაწილი მტკიცდება ცალკე დოკუმენტის სახით.
*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

**მუხლი 7. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტები**
1. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტი მუშავდება სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის დოკუმენტების საფუძველზე. მასში განისაზღვრება:
ა) შესაბამისი უწყების ხედვა, ღირებულებები, მიდგომები, განზრახვები და პრინციპები, აგრეთვე ამ უწყების მიზნები და ამოცანები სახელმწიფო თავდაცვის სფეროსთან ან/და მის ცალკეულ მიმართულებებთან/საკითხებთან დაკავშირებით;
ბ) შესაბამისი უწყების წინაშე მდგარი პრობლემები, ამ უწყების მიერ საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში მათი გადაჭრის დრო, გზები, საშუალებები და რესურსები, აგრეთვე აღნიშნული უწყების პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები.
2. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტებიდან იერარქიულად ზემდგომი დოკუმენტი მოიცავს ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრულ საკითხებს.
3. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალურ დოკუმენტს შეიძლება ჰქონდეს დროში გაწერილი სამოქმედო გეგმა.
4. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტის საიდუმლო ნაწილი მტკიცდება ცალკე დოკუმენტის სახით.
5. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებას კოორდინაციას უწევს საქართველოს თავდაცვის სამინისტრო.
*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

**მუხლი 7$^{1}$. სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის ორგანიზაციული დოკუმენტები**
სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის ორგანიზაციული დოკუმენტები მუშავდება სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის ეროვნული დონის დოკუმენტების ან/და სახელმწიფო თავდაცვის დაგეგმვის უწყებრივი დონის კონცეპტუალური დოკუმენტების საფუძველზე და მათ აღსასრულებლად.
*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

**მუხლი 8. (ამოღებულია)**
*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

**მუხლი 9. (ამოღებულია)**
*საქართველოს 2010 წლის 17 დეკემბრის კანონი №4130 -სსმI, №75, 27.12.2010 წ., მუხ. 479*
*საქართველოს 2013 წლის 27 სექტემბრის კანონი №1386 – ვებგვერდი, 09.10.2013წ*

*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

მუხლი 10. (ამოღებულია)
*საქართველოს 2018 წლის 31 ოქტომბრის კანონი №3578 – ვებგვერდი, 21.11.2018წ.*

მუხლი 11. თავდაცვის დაგეგმვის საპარლამენტო კონტროლი
საქართველოს პარლამენტი საქართველოს კონსტიტუციითა და საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით გათვალისწინებული ფორმითა და წესით ახორციელებს თავდაცვის დაგეგმვის საპარლამენტო კონტროლს.
*საქართველოს 2018 წლის 6 დეკემბრის კანონი №3895 – ვებგვერდი, 14.12.2018წ.*

მუხლი 12. კანონის ამოქმედება
ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი  მ. სააკაშვილი
თბილისი,

2006 წლის 28 აპრილი.
№2956-Iს